

2008 წლის ომზე საქართველოს კანონი

საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს მოქალაქეებს უკრძალავს საჯარო განცხადების გაკეთებას ომის თაობაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი ქართულმა მხარემ დაიწყო. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღნიშნულ ქმედებას დანაშაულად აცხადებს და ითვალისწინებს სანქციას ჯარიმას 500 ლარამდე ოდენობით ამგვარი განცხადებისთვის. მოქალაქე X რომელსაც შეეფარდა სანქცია აღნიშნული ქმედებისათვის მიიჩნევს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი და სისხლის სამართლის კოდექსი არღვევს აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას. დასაბუთებულია თუ არა მოქალაქის პრეტენზია?

დარღვევა ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს აქტს, რითაც ერევა დაცულ სფეროში და გარკვეულ ფარგლებში ზღუდავს მას. იმისათვის, რომ გავცეთ კაზუსში დასმულ შეკითხვას პასუხი, გვესაჭიროება სამ საფეხურიანი სქემის გამოყენება.

სქემის პირველ ნაწილს შეადგენს დაცული სფერო. დაცულ სფეროს წარმოადგენს თავისუფლება, საქმიანობა ან სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც იცავს ესა თუ ის ძირითადი უფლება. პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს მოხდა თუ არა დაცული სფეროს გახსნა. დაცული სფერო გახსნილია მაშინ, როცა კაზუსში მოცემული პრობლემური აქტი ეხება რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს და ამავე უფლებით დაცულ პირს. როგორც ვხედავთ, დაცული სფერო მოიცავს ორ ელემენტს - დაცულ საგანს და ასევე ამ უფლებით დაცულ პირთა წრეს. ა) მოცემული კაზუსიდან გამომდინარე, ძირითადი უფლებით დაცულ საგანს წარმოადგენს აზრის თავისუფლება. სწორედ არის ვარაუდი, რომ მოხდა ამ უფლების დარღვევა კაზუსიდან გამომდინარე. 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროს მიეკუთვნება აზრის შეხედულებების გამოთქმა. აზრის გამოხატვის თავისუფლება დაცულია იმის მიუხედავად, თუ რა საკითხებს ეხება იგი. ეს უფლება მოიცავს კომუნიკაციის ყველა სფეროს, სულერთია, აზრის გამოხატვა საჯარო მიზანს ისახავს თუ კერძოს. აზრის თავისუფლებას

დაცვის მაღალი სტანდარტი აქვს. ბ) მოცემულ კაზუსში ძირითადი უფლებით დაცულ პირს წარმოადგენს პიროვნება X-ი.

შუალედური დასკვნა: პრობლემური აქტი ეხება როგორც ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს, ასევე ამავე უფლებით დაცულ პირს, შესაბამისად, დაცული სფერო გაიხსნა.

დაცულ სფეროში ჩარევა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფოს უზენაესი აქტი ზღუდავს დაცულ სფეროს. დაცულ სფეროში ჩარევის ეტაპიც მოიცავს ორ ელემენტს - საჯარო ხელისუფლების აქტი და შესაბამისი უფლების შეზღუდვა. ა) საჯარო ხელისუფლებას წარმოადგენს პარლამენტი, მთავრობა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სასამართლო - ყველა ის სტრუქტურა, რომელიც საჯარო ფუნქციის მატარებელია. მოცემულ კაზუსში საჯარო ხელისუფლების აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმა. საჯარო ხელისუფლების აქტი განხორციელდა კანონის გამოცემით. ბ) ძირითადი უფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს კანონით, სასამართლო გადაწყვეტილებითა და ადმინისტრაციული ქმედებით ან უმოქმედობით უფლებამოსილი პირების მიერ. ამ შემთხვევაში ჩარევა გამოიხატა კანონების საფუძველზე, რომელთაგან ერთი უკრძალავს საქართველოს მოქალაქეებს საჯარო განცხადების გაკეთებას იმის თაობაზე, რომ აგვისტოს ომი ქართულმა მხარემ დაიწყო, ხოლო მეორე ჯარიმას ითვალისწინებს მსგავსი ქმედებისათვის.

შუალედური დასკვნა: პრობლემური აქტი განხორციელდა საჯარო ხელისუფლების მიერ (პარლამენტი), და ეს აქტი ზღუდავს ძირითად უფლებას, შესაბამისად, დაცულს სფეროში ჩარევა სახეზეა.

კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება მოცემული სქემის ბოლო, მესამე ეტაპს წარმოადგენს. ის უშუალოდ გულისხმობს სახელმწიფოს ისეთ ჩარევას, როდესაც ამ ქმედების საფუძველს წარმოადგენს კონსტიტუციური ზღვარი და რომელიც საჯარო ხელისუფლებამ მართლზომიერად შეუფარდა. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება ასევე შედგება ორი ნაწილისაგან - ფორმალური და მატერიალური შესაბამისობა. 1) ფორმალური შესაბამისობის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტების

არსებობა: ა) უფლებამოსილება-რაც უშუალოდ გააჩნია პარლამენტს, რადგანაც კანონების მიღება მათ ფუნქციაში შედის. ბ) პროცედურა-სამი მოსმენით უნდა მოხდეს კანონის მიღება ხმების შესაბამისი რაოდენობის არსებობისას, რაც რეალურად სახეზეა. გ) ფორმა-უნდა ზუსტად იყოს განსაზღვრული სპეციალური კანონია, კანონქვემდებარე აქტია, საკანონმდებლოა თუ სხვ. მოცემულ კაზუსში კანონის მიღების ფორმაც დაცულია. 2) მატერიალური შესაბამისობაც ასევე მოიცავს სამ ელემენტს: ზღვარი, ზღვრის ზღვარი და ზომიერების პრინციპი ა) ზღვარი-ეს უშუალოდ მოიცავს 5 სხვადასხვა ტიპს: კანონის კვალიფიციური დათქმა, სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა, ჩარევის კვალიფიციური დათქმა, უშუალო კონსტიტუციური ზღვარი, შიდა კონსტიტუციური ზღვარი. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კანონის კვალიფიციური დათქმა, რადგან კონსტიტუციით წინასწარ არის განსაზღვრული თუ როდის არის შესაძლებელი ამ ძირითადი უფლების შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, ჩარევის საფუძველი არის კონსტიტუციურ სამართლებრივი. ზღვრის შესაბამისად მოხდა ჩარევა, იქედან გამომდინარე, რომ დაცულია ქვეყნის ინტერესები. გ) ლეგიტიმური საჯარო მიზანი-ქვეყნის ინტერესებისა და იმიჯის დაცვა. გამოსადეგობა-თეორიულად შესაძლებელია მისი განხორციელება. შიშის ფონზე, რომ სანაცვლოდ დაჯარიმდებიან, ადამიანები მოერიდებიან საჯაროდ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. საჭიროება-ამ მიზნის მისაღწევად სხვა უფრო რბილი მეთოდის გამოყენება შეუძლებელია. შესაბამისობა-მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სასწორის სხვადასხვა მხარეს აზრის თავისუფლება და ქვეყნის იმიჯი, აზრის თავისუფლებას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, ის ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს და დაუშვებელია მისი შეზღუდვა ადამიანისთვის, რათა ქვეყანამ საკუთარი ინტერესები გაატაროს. ყველას აქვს თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება და არ შეიძლება მისი შეზღუდვა და შესაბამისად ჯარიმის დაწესება აზრის გამოხატვისათვის.

დასკვნა: ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტის საფუძველი არ არის კონსტიტუციური ზღვრის შესაბამისი, ამიტომაც დარღვეულია ადამიანის თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება.

კაზუსი საარსებო მინიმუმის შესახებ

პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმად განისაზღვრა თვეში 115 ლარი. პარლამენტართა მოსაზრებით პირი ამ თანხით შეძლებდა საკვების, საჭირო მედიკამენტების და პირველადი მოხმარების საგნების შეძენას. ცოტა ხანში პარლამენტმა მიიღო მე-2 კანონი, რითაც პენსიონერთა პენსია განისაზღვრა 120 ლარით. ტუმცა დადგინდა, რომ თუ პენსიონერი გადაწყვეტდა მინიმუმ 3 თვის პენსიის წინასწარ აღებას, ბანკს დარჩებოდა ასაღები თანხის 30%. ჯამში 108 ლარი. პენსიონერთა ნაწილმა ჩათვლა, რომ ამ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ თვეში კუთვნილი 120 ლარის აღებას და მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით. დაირღვა უფლება?

კაზუსი შიდსის პროფილაქტიკის შესახებ

შიდსის პროფილაქტიკის შესახებ საქართველოს კანონი ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომად აცხადებს ინფორმაციას იმ პირთა ვინაობის შესახებ, რომელთაც სამედიცინო გამოკვლევის შედეგად დაუდგინდებათ შიდსის დიაგნოზი. კანონი მიზნად ისახავს აღნიშნული დაავადების შემდგომი გავრცელების თავიდან აცილებას და ადამიანების დაცვას შიდსით ინფიცირების საფრთხისაგან. შიდსით დაავადებული მოქალაქე მიიჩნევა, რომ საქართველოს კანონი შიდსის პროფილაქტიკის შესახებ არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითად უფლებას. დასაბუთებულია თუ არა მოქალაქის პრეტენზია?

კაზუსი განათლების მინისტრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გადაწყვიტა რა, მოეხდინა ქართული ენის პოპულარიზაცია, გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები, რომლებიც სამხრეთ საქართველოში შეასწავლიდნენ ქართულ ენას არაქართულენოვან მოსახლეობას, მიიღებდნენ საცხოვრებელი ადგილის დაქირავების ანაზღაურების გარდა, დანამატს ერთი ხელფასის ოდენობით. აღნიშნული ბრძანება გაასაჩივრა თბილისში მხოვრებმა ქართული ენის პედაგოგმა ლეილამ, რომელმაც აღნიშნული ბრძანება არაკონსტიტუციურად მიიჩნია. მან შემდეგნაირად დაასაბუთა საკუთარი მოსაზრება: სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული მიდგომა აშკარად დისკრიმინაციულია, ვინაიდან ქ. თბილისში მომუშავე პედაგოგები არანაკლებ საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწევიან. დაირღვა თუ არა კონსტიტუციით გათვალისწინებული რომელიმე უფლება?

I - უთანასწორო მოპყრობა

უთანასწორო მოპყრობა არ არღვევს თანასწორობის ძირითად უფლებას თუ მას გააჩნია გამართლებული საფუძველი.

უთანასწორო მოპყრობა ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საჯარო ხელისუფლება მნიშვნელოვნად უთანასწოროს თანასწორად და მნიშვნელოვნად თანასწორს უთანასწოროდ ეპყრობა.

თანასწორობის ძირითადი უფლებით შეზღუდულ სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ხელისუფლება. საჯარო ხელისუფლებას კიდევ წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ყველა ის სტრუქტურა, რომელიც საჯარო ფუნქციებს ახორციელებს და საჯარო მიზნებს ემსახურება. მოცემულ შემთხვევაში ჯერ უნდა გავარკვიოთ წარმოადგენს თუ არა კაზუსში მოცემული აქტი საჯარო ხელისუფლების აქტს. მოცემული კაზუსიდან გამომდინარე საჯარო

ხელისუფლებას წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რადგან უშუალოდ ის გამოსცემს ბრძანებას, ანუ უშუალოდ კაზუსში მოცემულ აქტს ახორციელებს.

შემდეგ ვარკვევთ სახეზე გვაქვს თუ არა უთანასწორო მოპყრობა. თავში უნდა ვიპოვოთ ის პირები, რომლებზეც საჯარო ხელისუფლება მოქმედებს კაზუსიდან გამომდინარე. კაზუსიდან გამომდინარე ასეთ პირებს წარმოადგენენ ისეთი ქართული ენის მასწავლებლები, რომლებიც სამხრეთ საქართველოში შეასწავლიან ქართულ ენას არაქართულენოვან ბავშვებს. ანუ საჯარო ხელისუფლების მხრიდან სახეზე გვაქვს პოზიტიური ზემოქმედება. შემდეგ ვარკვევთ მსგავსად ხომ არ ზემოქმედებს იგივე საჯარო ხელისუფლება სხვა პირებზე, ზემოქმედებს თუ არა მათზე საერთოდ, ან სხვაგვარად ხომ არ ზემოქმედებს. მოცემულ შემთხვევაში საჯარო ხელისუფლება სხვა პირებზე, ანუ დანარჩენ მასწავლებლებზე არ ზემოქმედებს. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახეზე გვაქვს ნეგატიური ზემოქმედება.

შემდეგ ვარკვევთ შესაძლებელია თუ არა რაიმე საერთო ნიშნის ქვეშ ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების (მასწავლებლების) გაერთიანება. მოცემულ შემთხვევაში მათი გაერთიანება სწორედ პროფესიული ნიშნით არის შესაძლებელი, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელია, კონკრეტულად კი ქართული ენის.

შუალედური დასკვნა: საჯარო ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედება სახეზეა, კერძოდ უთანასწორო მოპყრობა. სახეზე გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევა.

II - კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

გადავდივართ შემდეგ ეტაპზე, კერძოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებაზე. იმისათვის რომ უთანასწორო მოპყრობა გამართლებული იყოს, და არ შეფასდეს როგორც დარღვევა, საჭიროა საჯარო ხელისუფლების შესაბამისი ქმედება კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი იყოს. ანუ გააჩნდეს გამამართლებელი საფუძველი.

პირველ რიგში ვარკვევთ უთანასწორო მოპყრობა ინტენსიურია თუ არა. ამისათვის უნდა გავარკვიოთ რა შემთხვევებში ითვლება უთანასწორო მოპყრობა ინტენსიურად. არის სულ ასეთი 4 შემთხვევა.

1) რაც უფრო ახლოსაა საჯარო ხელისუფლების მიერ გამოყონებული კრიტერიუმი კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმთან, მაშინ ჩარევა მით უფრო ინტენსიურია.

2) რაც უფრო ნაკლებად შეუძლია პირს გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ დიფერენცირების კრიტერიუმზე, მით უფრო ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა.

3) ინტენსიურ მოპყრობასთან გვაქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, თუ იგი პირს ხელს უშლის საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი თავისუფლებების რეალიზაციაში.

4) არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლების ყოველდგვარი შეზღუდვა უნდა განვიხილოთ როგორც ინტენსიური.

მოცემული კაზუსიდან გამომდინარე, სახეზე გვაქვს დიფერენცირების კრიტერიუმი, რომელიც ახლოს დგას კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმთან. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უთანასწორო მოპყრობა ინტენსიურია. როდესაც სახეზეა ინტენსიური უთანასწორო მოპყრობა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საჯარო ხელისუფლების აქტი რამდენად შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. ამისათვის ვამოწმებთ 4 ელემენტს.

ა) ლეგიტიმური საჯარო მიზანი - ენის პოპულარიზება

ბ) გამოსადეგობა - თეორიულად ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად ეს საშუალება გამოსადეგია.

გ) აუცილებლობა - მოცემულ შემთხვევაში, ამ მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებას სწორედ ბრძანების გამოცემა წარმოადგენდა, რომელიც ამავედროულად მოიცავს დამატებით ხელფასსა და ბინის ქირის ანაზღაურების ხარჯებს, რადგან ადამიანი როდესაც სამ. საქართველოში გადადის საცხოვრებლად მას უნდა უღირდეს იქ წასვლა. იმ შემთხვევასი თუ მას არაფერი მოემატება ამ გამგზავრებით, სტიმულიც ნაკლები იქნება და დასაკარგიც არაფერი ექნება თვილისში ცხოვრებით და აქ მოღვაწეობით.

დ) შესაბამისობა - მოცემულ ეტაპზე ხდება ქვეყნის ინტერესებისა და ქალბატონი ლეილას ინტერესების ურთიერთშეჯერება. იქედან

გამომდინარე, რომ ლეილა თბილისში დარჩენით და მიღებული ბრძანებით არაფერს კარგავდა, იგივე ხელფასით და იგივე სამუშაო გარემოთი რჩებოდა. და ასევე საკუთარ არჩევანზე იყო, რომ თუ სურდა შეეძლო თავადაც წასულიყო და სამხრეთ საქართველოში ესწავლებინა თუ დამატებითი ხელფასის სურვილი ექნებოდა ხაზს უსვამს იმას, რომ ქვეყნის ინტერესები მეტად გასათვალისწინებელია ამ შემთხვევაში. ქართული ენის არ ცოდნამ შეიძლება მომავალში დამატებითი კონფლიქტური რეგიონები წარმოშვას სამხრეთ საქართველოში, ამიტომაც უთანასწორო მოპყრობა მიზნის შესაბამისი, პროპორციულია. შესაბამისად მას გააჩნია გამამართლებელი საფუძველი.

დასკვნა: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ადამიანთა თანასწორობის უფლება დარღვეული არ არის.

კაზუსი საპარლამენტო არჩევნებზე

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 8 ოქტომბერს, არჩევნებში მონაწილეობას იღებს 12 პარტია. მათგან 5 გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ გაფუძნებულმა ტელევიზიამ გადაწყვიტა წინასაარჩევნოდ ტელევიზიაში მოეწვია პოლიტიკური პარტიები. თუმცა, არჩევანი გააკეთა 5-იდან მხოლოდ 2-ზე. იმ მოტივით, რომ მხოლოდ 2-ს ჰქონდა საარჩევნო ბარიერის გადალახვის პერსპექტივა და რომ ყველა მათგანის ტელევიზიაში მოწვევა ფორმატიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო. აღნიშნული არაკონსტიტუციურად მიიჩნია პარტია „გურჯაანი ჩვენი მომავლის“ წარმომადგენელმა, ვინაიდან მათ არ მიეცათ შესაძლებლობა საზოგადოებამდე მიეტანათ თავიანთი საარჩევნო პროგრამა. დაირღვა თუ არა კონსტიტუციით გათვალისწინებული რომელიმე უფლება?

I - უთანასწორო მოპყრობა

უთანასწორო მოპყრობა არ არღვევს თანასწორობის ძირითად უფლებას თუ მას გააჩნია გამართლებული საფუძველი.

უთანასწორო მოპყრობა ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საჯარო ხელისუფლება მნიშვნელოვნად უთანასწოროს თანასწორად და მნიშვნელოვნად თანასწორს უთანასწოროდ ეპყრობა.

თანასწორობის ძირითადი უფლებით შეზღუდულ სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ხელისუფლება. საჯარო ხელისუფლებას კიდევ წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ყველა ის სტრუქტურა, რომელიც საჯარო ფუნქციებს ახორციელებს და საჯარო მიზნებს ემსახურება. მოცემულ შემთხვევაში ჯერ უნდა გავარკვიოთ წარმოადგენს თუ არა კაზუსში მოცემული აქტი საჯარო ხელისუფლების აქტს. მოცემული კაზუსიდან გამომდინარე საჯარო ხელისუფლებას წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტი თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევითი ორგანოა. შესაბამისად, ის ახორციელებს საჯარო საქმიანობას და მისი საქმიანობა საჯარო მიზნებს ემსახურება. შესაბამისად კაზუსში მოცემული აქტი ნამდვილად საჯარო ხელისუფლებას უკავშირდება. სწორედ აქტი მათ მიერ დაფუძნებულმა ტელეკომპანიამ განახორციელა, რომელმაც მხოლოდ 2 პოლიტიკური პარტია მოიწვია გადაცემაში.

შემდეგ ვარკვევთ სახეზე გვაქვს თუ არა უთანასწორო მოპყრობა. თავში უნდა ვიპოვოთ ის პირები, რომლებზეც საჯარო ხელისუფლება მოქმედებს კაზუსიდან გამომდინარე. კაზუსიდან გამომდინარე ასეთ პირებს წარმოადგენენ ის პარტიები და მათი წარმომადგენლები, რომლებიც ტელევიზიაში იქნენ მიწვეული. ამ შემთხვევაში საჯარო ხელისუფლების მხრიდან გვაქვს პოზიტიური ზემოქმედება. ამის შემდეგ ვარკვევთ სხვა პირებზე ანალოგიურად მოქმედებს თუ არა, საერთოდ თუ მოქმედებს ან სხვაგვარად ხომ არ მოქმედებს იგივე საჯარო ხელისუფლება. მოცემულ შემთხვევაში ნეგატიური ზემოქმედება სახეზეა იმ პარტიებისა და წევრების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ გადაცემაში მიწვეულნი.

შემდეგ უნდა გავარკვიოთ შესაძლებელია თუ არა ზემოთ დასახელებული პირების საერთო ცნების ქვეშ გაერთიანება. მოცემულ შემთხვევაში დასახელებული ყველა სუბიექტი წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, თანაც თითოეული მათგანი გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან. შესაბამისად შესაძლებელია ამ სუბიექტების საერთო ცნების ქვეშ გაერთიანება.

შუალედური დასკვნა: საჯარო ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედება სახეზეა, კერძოდ უთანასწორო მოპყრობა. სახეზე გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევა.

II - კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

გადავდივართ შემდეგ ეტაპზე, კერძოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებაზე. იმისათვის რომ უთანასწორო მოპყრობა გამართლებული იყოს, და არ შეფასდეს როგორც დარღვევა, საჭიროა საჯარო ხელისუფლების შესაბამისი ქმედება კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი იყოს. ანუ გააჩნდეს გამამართლებელი საფუძველი.

პირველ რიგში ვარკვევთ უთანასწორო მოპყრობა ინტენსიურია თუ არა. ამისათვის უნდა გავარკვიოთ რა შემთხვევებში ითვლება უთანასწორო მოპყრობა ინტენსიურად. არის სულ ასეთი 4 შემთხვევა.

- 1) რაც უფრო ახლოსაა საჯარო ხელისუფლების მიერ გამოყონებული კრიტერიუმი კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმთან, მაშინ ჩარევა მით უფრო ინტენსიურია.
 - 2) რაც უფრო ნაკლებად შეუძლია პირს გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ დიფერენცირების კრიტერიუმზე, მით უფრო ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა.
 - 3) ინტენსიურ მოპყრობასთან გვაქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, თუ იგი პირს ხელს უშლის საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი თავისუფლებების რეალიზაციაში.
 - 4) არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლების ყოველდგვარი შეზღუდვა უნდა განვიხილოთ როგორც ინტენსიური.
- მოცემული კაზუსიდან გამომდინარე, სახეზე გვაქვს დიფერენცირების კრიტერიუმი, რომელიც ახლოს დგას კონსტიტუციის მე-14 მუხლით

განსაზღვრულ კრიდერიუმთან. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უთანასწორო მოპყრობა ინტენსიურია. როდესაც სახეზეა ინტენსიური უთანასწორო მოპყრობა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საჯარო ხელისუფლების აქტი რამდენად შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. ამისათვის ვამოწმებთ 4 ელემენტს.

- ა) ლეგიტიმური საჯარო მიზანი - გადაცემისა და მისი ფორმატის ინტერესების გათვალისწინება და საქმის გამარტივება.
- ბ) გამოსადეგობა - ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევა მოცემული ქმედებით სრულიად შესაძლებელია თეორიულად.
- გ) აუცილებლობა - ამის აუცილებლობის წინაშე არ იდგა მუნიციპალიტეტის შესაბამისი ტელევიზია, იქედან გამომდინარე, რომ მათ შეეძლოთ გადაცემა რამდენიმე დღეზე გაეხანგრძლივებინათ და თითოეული პარტია ცალ-ცალკე ან 2-2 ად მოეწვიათ, ისე რომ ყველა მათგანს შეეძლებოდა გადაცემაში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ტელევიზია ფიქრობს დანარჩენებს ბარიერის გადალახვის შანსი არ ჰქონდათ, კიდევ უფრო უწყობს ხელს მათ დისკრედიტაციას, რითაც ხალხს ნაკლები სურვილი უჩნდება მათთვის ხმის მიცემის და ასევე ნაკლებ ინფორმირებულები ხდებიან მათ შესახებ განსხვავებით გადაცემაში მოწვეული ისედაც პოპულარული პარტიებისგან. აქედან გამომდინარე, ტელეარხის მიერ განხორციელებული აქტი არ იყო აუცილებლობით გამოწვეული და არსებობდა სხვა ალტერნატივებიც, რითაც უთანასწორო მოპყრობას თავიდან ავიცილებდით.

დასკვნა: საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი არ არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი, აქედან გამომდინარე სახეზეა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლების დარღვევა. სახეზეა გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობა. დარღვეულია ადამიანის თანასწორობის უფლება.